სულხან-საბა ორბელიანის
უნივერსიტეტი

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის სახელწოდება	ინგლისური ფილოლოგია
პროგრამის ხელმძღვანელი	შორენა გოგიაშვილი/სოფიო მორალიშვილი
სწავლების ენა	ქართული, ინგლისური კომპონენტებით
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი ინგლისურ ფილოლოგიაში Bachelor of Arts in English Philology
პროგრამის მოცულობა კრედიტებით	180 ECTS (6 სემესტრი. ერთი სემესტრი მოიცავს 16 კვირას. ერთი აკადემიური წელი 2–სემესტრიანია და მოიცავს საშუალოდ 60 ECTS კრედიტს, საგანმანათლებლო პროგრამის ან/და სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის თავისებურებების გათვალისწინებით, წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არა უმეტეს 75-ისა (ერთი კრედიტი = 25 ასტრონომიულ საათს).
პროგრამის დამტკიცების თარიღი და ოქმის ნომერი	07.07.2023 №03-23
პროგრამის განახლების თარიღი და ოქმის ნომერი	22.04.2026 №04-26

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხვა ხორციელდება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების (რანჟირების დოკუმენტის) საფუძველზე ან უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში, დადგენილი წესის შესაბამისად, ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლისა და რექტორის ბრძანების საფუძველზე.

ერთიან ეროვნულ გამოცდებზე უცხო ენის კომპონენტში აბიტურიენტებისათვის სავალდებულო გამოცდად განისაზღვრება მხოლოდ ინგლისური ენის ჩაბარება.

ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე.

პროგრამის მიზანი

ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა მიზნად ისახავს თანამედროვე თეორიულ-პრაქტიკული ცოდნის, ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის შესაბამისი დარგობრივი და ზოგადი (ტრანსფერული) კომპეტენციების მქონე კვალიფიციური და კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადებას, რომლებიც შეძლებენ ადგილობრივი შრომის ბაზრის მზარდი მოთხოვნების დაკმაყოფილებას. უმაღლესი განათლების შემდგომ საფეხურზე (მაგისტრატურაში) სწავლის გაგრძელებასა და კვალიფიკაციის ამაღლებას, პრაქტიკულ და საზოგადოებრივ საქმიანობაში საკუთარი კომპეტენციებისა და შესაძლებლობების რეალიზებას და კარიერულ წინსვლას, რაც საბოლოო ჯამში ხელს შეუწყობს საზოგადოების ინტელექტუალურ, ზნეობრივ, კულტურულ და სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას.

ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტს:

(A) შეძინოს ინგლისური ფილოლოგიის სფეროს, მათ შორის ინგლისური ენის სტრუქტურისა და კომპოზიციის, ბრიტანული და ამერიკული კულტურის და ლიტერატურის საკითხების, ფართო ცოდნა და მისი პრაქტიკაში გამოყენების უნარი;
(B) განუვითაროს სხვადასხვა მიზნისა და აუდიტორიისათვის ინგლისურ ენაზე სხვადასხვა ფორმით თავისუფალი კომუნიკაციის განხორციელების უნარი საერთაშორისო და მრავალფეროვანი პროფესიული გარემოს მოთხოვნების გათვალისწინებით;
(C) განუვითაროს მეორე უცხოურ ენაზე (გერმანულ/ფრანგულ/რუსულ) კომუნიკაციის განხორციელების უნარი;
(D) განუვითაროს პროფესიულ, ლინგვისტურ თუ ლიტერატურულ საკითხებთან დაკავშირებით ინფორმაციის მოძიებისა და კრიტიკულად ანალიზის უნარი; უზრუნველყოს სტუდენტები ფილოლოგიური კვლევისათვის საჭირო მეთოდების ცოდნით პრაქტიკული გამოყენებისთვის.
(E) ჩამოუყალიბოს ინგლისური ფილოლოგიის სფეროში პროფესიული საქმიანობისას ეთიკის პრინციპების დაცვის, ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობისა და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვის, ცოდნის მუდმივი განახლების, კომპეტენციების სრულყოფისა და პროფესიული განვითარებისათვის საჭირო პასუხისმგებლობა.

სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება

კურსდამთავრებული:

A. ფლობს ფართო ცოდნას ინგლისური ენის განვითარების სპეციფიკის, ბრიტანულ და ამერიკული ენის, ლიტერატურის, კულტურის, გეოგრაფიისა და ისტორიის მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ.

B. აღწერს ფილოლოგიის საკითხებს, მთავარ პრინციპებს, კონცეფციებს, თეორიებს, მეთოდებს.

უნარი

კურსდამთავრებული:

C. იყენებს ინგლისური ენის (წერა, კითხვა, მოსმენა, საუბარი, ლექსიკა, გრამატიკა, კომუნიკაციური კომპეტენცია) ცოდნას B2 დონეზე წერილობითი და ზეპირმეტყველების მიზნებისათვის, ზოგად და სპეციფიკურ კონტექსტში, მ. შ. რთული და გაუთვალისწინებელი პრობლემების გადასაჭრელად;
D. იყენებს რომელიმე მეორე უცხოურ ენას (გერმანულ/ფრანგულ/რუსულ) B1 დონეზე;

E. ახდენს ლიტერატურული ნაწარმოების/ლინგვისტური ნაშრომის ანალიზს ლიტერატურათმცოდნეობის და ლინგვისტური მეთოდების მეშვეობით და იყენებს მათ პრაქტიკული ამოცანების გადასაჭრელად;

F. აყალიბებს და გადაცემს პრაქტიკულ საქმიანობასთან დაკავშირებულ სპეციფიკური შინაარსის ტექსტებს, ინგლისური ფილოლოგიის მნიშვნელოვან საკითხებზე საკუთარ პასუხისმგებლიან მოსაზრებებს და არგუმენტირებულ დასკვნებს წერილობითი და ვერბალური ფორმით, შესაბამისი ტერმინოლოგიის დაცვით, ქართულ და ინგლისურ ენაზე, სამიზნე აუდიტორიისათვის, თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით;

G. ინგლისური ენის/ლიტერატურის მიმართულებით, ახორციელებს საბაკალავრო ნაშრომს და წინასწარგანსაზღვრული მითითებების შესაბამისად და სხვადასხვა წყაროდან მოიძიებს და კრიტიკულად იაზრებს/აანალიზებს ინფორმაციას/მასალას (თეორიული წყაროებისა თუ ინფორმაციული რესურსების ფართო სპექტრს); ხელმძღვანელის რეკომენდაციების შესაბამისად, ახორციელებს თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას, ინგლისური ფილოლოგიის სექტორში პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელებას.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

კურსდამთავრებული:

H. იცავს როგორც ზოგად ასევე პროფესიულ ეთიკის ნორმებსა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრონციპებს და ავტონომიურად განსაზღვრავს ინგლისური ფილოლოგიის სფეროში შემდგომი სწავლისა და/ან მიღებული ცოდნის გაღრმავების /მუდმივად განახლების საჭიროებებს

სწავლება-სწავლის მეთოდი

☒ ლექცია ☒ სამუშაო ჯგუფში მუშაობა ☒ პრაქტიკული მუშაობა ☒ სემინარი ☒ ელექტრონული რესურსით სწავლება ☒ ელექტრონული სწავლება ☒ სხვა.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შეფასების ფორმებს - შუალედურ (ერთჯერად ან მრავალჯერად) და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა).

შუალედური და დასკვნითი შეფასება (შეფასების ფორმები) მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხს/ხერხებს (ზეპირი/წერითი გამოცდა, ზეპირი/წერითი გამოკითხვა, საშინაო დავალება, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და სხვ.). შეფასების კომპონენტი აერთიანებს შეფასების ერთგვაროვან მეთოდებს (ტესტი, ესე/ესეი, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა, შებრუნებული სწავლება, აღმოჩენებით სწავლება და სხვ). შეფასების მეთოდი/მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით ანუ შეფასების მეთოდის საზომი ერთეულით, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე.

შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში, რაც აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.

დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით. სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის შუალედური და დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარის ხვედრითი წილი აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში. შეფასების სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:	
(A) ფრიადი	91-100 მაქსიმალური შეფასების
(B) ძალიან კარგი	81 - 90 მაქსიმალური შეფასების
(C) კარგი	71 - 80 მაქსიმალური შეფასების;
(D) დამაკმაყოფილებელი	61 - 70 მაქსიმალური შეფასების;
(E) საკმარისი	51 - 60 მაქსიმალური შეფასების.
ხუთი სახის დადებით შეფასებას:	
(FX) ვერ ჩააბარა	მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
(F) ჩაიჭრა	მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

შეფასების ფორმები და კომპონენტები

შეფასების ფორმები და კომპონენტები	**მაქსიმალური ქულა**
შუალედური შეფასება:	**70 ქულა**
1.1	
1.2	
1.3	
დასკვნითი შეფასება	**30 ქულა**
დასკვნითი წერითი/ზეპირი გამოცდა	30
სულ	**100 ქულა**

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 კალენდარულ დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

დასაქმების სფერო

სწავლების პროცესში მიღებული სავალდებულო თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული საქმიანობის განხორციელებისათვის გამომუშავებულ უნარ-ჩვევათა გათვალისწინებით, კურსდამთავრებულს შეუძლია დასაქმდეს სახელმწიფო და კერძო, არასამთავრობო და საერთაშორისო სტრუქტურებში: საგანმანათლებლო და არასაგანმანათლებლო, კულტურის და საგამომცემლო დაწესებულებებში, აგრეთვე მედია საშუალებები საერთაშორისო ურთიერთობებისა და ბიზნესის სფეროებში. ეს შეიძლება იყოს: არქივი, მუზეუმი, ბიბლიოთეკა, ტურისტული კომპანია, მასმედია, საელჩო, ენათა ცენტრი.

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

კურსდამთავრებულს სწავლის გაგრძელება შეუძლია საქართველოს და უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, უმაღლესი განათლების შემდგომ საფეხურზე სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელიც დაშვების წინაპირობად მიიჩნევს/არ კრძალავს ინგლისური ფილოლოგიის ბაკალავრის აკადემიურ ხარისხს და ასევე მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე.

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსი

უნივერსიტეტის საკუთრებაში და მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების რეალიზაციასა და დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევას:

შენობა-ნაგებობები - საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება უნივერსიტეტის 24–საათიან მფლობელობაში და საკუთრებაში არსებულ შენობა-ნაგებობებში, სადაც დაცულია სანიტარიულ-ჰიგიენური და უსაფრთხოების ნორმები (შენობებში დამონტაჟებულია სიგნალიზაცია, არის ცეცხლმაქრები, პერიმეტრზე მიმდინარეობს ვიდეო კონტროლი, წესრიგს იცავს უნივერსიტეტის დაცვის თანამშრომელი). შენობა სრულად პასუხობს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის დადგენილ ტექნიკურ მოთხოვნებს, არის სათანადო ტექნიკითა და ინვენტარით (პროექტორი, სკამები, მერხები, დაფები და სხვა) აღჭურვული სალექციო და პრაქტიკული მეცადინეობებისთვის განკუთვნილი აუდიტორიები.

ბიბლიოთეკა - უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დაცულია საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული ფონდი, რომელიც ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, მოწვეული და აკადემიური პერსონალისათვის. ბიბლიოთეკას აქვს სათანადო ინვენტარით (სკამები, მაგიდები, კომპიუტერები) აღჭურვილი სამკითხველო დარბაზი. ბიბლიოთეკაში არის მულტიფუნქციური ქსეროქსის აპარატი, რომლით სარგებლობაც სტუდენტს ბიბლიოთეკის თანამშრომლის დახმარებით შეუძლია. სამკითხველო დარბაზში სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ ინტერნეტით და საერთაშორისო ელექტრონული რესურსებით (საკანონმდებლო მაცნე, EBSCO, HeinOnline, ELSEVIER: Scopus, Science Direct, Scival Funding). უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას აქვს ელექტრონული კატალოგი OpenBiblio.

აკადემიური პერსონალის სამუშაო სივრცე - აკადემიური პერსონალისათვის შექმნილია სათანადო ინვენტარითა და ტექნიკით (სკამები, მაგიდები, კარადები, ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი, ქსეროქსის მულტიფუნქციური აპარატი) აღჭურვილი სამუშაო გარემო.

საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები - საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისა და ადმინისტრირების ხელშეწყობის მიზნით, უნივერსიტეტი იყენებს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. არსებობს საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა, არსებული კომპიუტერული ტექნიკა პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს, ჩართულია ინტერნეტში და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალისათვის. სტუდენტებისათვის შეფასებების ხელმისაწვდომობის, ადმინისტრაციის მხრიდან სტუდენტთა აკადემიური მოსწრების კონტროლისა და სასწავლო პროცესის ხელშეწყობისათვის გამოიყენება სტუდენტთა ცოდნის შეფასებისა და სწავლების ორგანიზების ელექტრონული სისტემა. უნივერსიტეტის ვებ–გვერდის მეშვეობით, რომელზეც განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებასთან და სასწავლო პროცესის წარმართვასთან დაკავშირებული და სხვა ინფორმაცია, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ინფორმაციის საჯაროობას და ხელმისაწვდომობას.

სწავლების ორგანიზების თავისებურებები

საბაკალავრო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო კომპონენტები, ორიენტირებულია ინგლისური ფილოლოგიის სფეროში ბაკალავრის საქმიანობისათვის საჭირო ცოდნისა და უნარების მიღწევის უზრუნველყოფაზე და აგებულია ენის დაუფლების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის I საფეხურის და ეროვნული კვლიფიკაციების ჩარჩო დოკუმენტის VI დონის და სწავლის სფეროების კლასიფიკატორით განსაზღვრული შინაარსის შესაბამისად, ინგლისური ფილოლოგიის სფეროს განვითარების ტენდენციების, ინგლისური ფილოლოგიის ბაკალავრის დასაქმების ბაზრის მოთხოვნების, ევროპის უნივერსიტეტების პრაქტიკის გათვალისწინებით.

ინგლისური ფილოლოგიის ბაკალავრის მომზადება მიმდინარეობს ძირითადი სწავლის სფეროსა და თავისუფალი კომპონენტების მეშვეობით. პირველი მოიცავს ინგლისური ფილოლოგიის სფეროს სავალდებულო და არჩევით სასწავლო კურსებს, აგრეთვე, სავალდებულო საბაკალავრო ნაშრომს და პრაქტიკას. მეორე მოიცავს სტუდენტებისათვის ზოგადი, ტრანსფერული უნარების განვითარების ხელშეწყობის, ასევე მათთვის საინტერესო სფეროებში (საკითხებზე) თვალსაწიერის გაფართოების მიზნით გათვალისწინებულ სავალდებულო და არჩევით სასწავლო კურსებს.

ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის დასრულებისათვის სტუდენტმა უნდა დააგროვოს 180 კრედიტი, რაც ნაწილდება შემდეგნაირად:

- 12 ECTS – საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსები;
- 24 ECTS – მეორე უცხო ენის კომპონენტი;
- 132 ECTS - ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები;
- 12 ECTS - ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები

ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხულ სტუდენტს თავისუფალი კომპონენტის სახით შეიძლება ეღიაროს სხვა სასწავლო კურსები, რომლებიც ათვისებული აქვს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

მეორე უცხო ენის კომპონენტი მოიცავს შემდეგ სასწავლო კურსებს:

- გერმანული/ფრანგული/რუსული A1;
- გერმანული/ფრანგული/რუსული A2;
- გერმანული/ფრანგული/რუსული B1.1;
- გერმანული/ფრანგული/რუსული B1.2.

ზოგადი ინგლისური ენის უნარების სასწავლო კურსებზე განაწილება წარმოებს საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხვისთანავე. განაწილების საფუძველია დონის განმსაზღვრელი ტესტის წერა, რომელიც სავალდებულოა სტუდენტისათვის. დონის განმსაზღვრელი ტესტის შეფასების შედეგების საფუძველზე სტუდენტები გადანაწილდებიან ინგლისური ენის შემდეგ დონეებზე:

- ინგლისური ენა (A2) - 41 - 51 ქულა
- ინგლისური ენა (B1.1) – 52 - 61 ქულა
- ინგლისური ენა (B1.2) – 62-71 ქულა
- ინგლისური ენა (B2.1) - 72 - 81 ქულა
- ინგლისური ენა (B2.2) - 82 - 100 ქულა

<u>შენიშვნა: ის სტუდენტი, რომელიც ტესტირების შედეგად დააგროვებს 41-51 ქულას, A2-B1.1 დონეს გაივლის ინტენსიური კურსის საშუალებით და სწავლას მეორე სემესტრიდან გააგრძელებს B1.2 დონიდან.</u>

ის სტუდენტები, რომლებიც უნივერსიტეტში ჩარიცხვის ეტაპზე წარმოადგენენ ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელ შემდეგ საერთაშორისო სერთიფიკატებს, შესაბამისი შეფასებებით, თავისუფლდებიან უნივერსიტეტში ინგლისური ენის სწავლების ვალდებულებისაგან. პროგრამის სტრუქტურით გათვალისწინებული ინგლისური ენის უნარების 24 კრედიტს კი აგროვებენ არჩევითი საგნების ხარჯზე. კერძოდ, სტუდენტი, რომელიც წარმოადგენს ინგლისური ენის B2-ის ან B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელ სხვა სერთიფიკატს, როგორიც არის: FCE; IELTS- 5.5-6.5; TOEFL Paper 513-547; TOEFL CBT-183 – 210; TOEFL IBT- 72-94.

შენიშვნა: ყველა ზემოთ ჩამოთვლილი სერთიფიკატი განაცხადის გაკეთების დროს უნდა იყოს ძალაში და აპლიკანტს უნდა შეეძლოს მისი წარმოდგენა. ვადაგასული დოკუმენტი არ განიხილება.

№	წინაპირობა	მოდული/საგანი	ECTS კრედიტი						სტუდენტის სასწავლო დატვირთვა	
			I წელი		II წელი		III წელი		საკონტაქტო საათები	დამოუკიდებელი საათები
			სემესტრი							
			I	II	III	IV	V	VI		
სასწავლო კომპონენტი										
	საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსები									
1.	წინაპირობის გარეშე	საქმიანი კომუნიკაცია და ციფრული ტექნოლოგიები	6/150						29	121
2.	წინაპირობის გარეშე	ქართული ენის სპეციალური კურსი	6/150						28	122
	მეორე უცხოური ენის კომპონენტი		**ECTS**							
3.	წინაპირობის გარეშე	გერმანული/ფრანგული/რუსული ენა A1		6/150					81/107	69/43
4.	გერმანული/ფრანგული/რუსული ენა A1	გერმანული/ფრანგული/რუსული ენა A2			6/150				81/107	69/43
5.	გერმანული/ფრანგული/რუსული ენა A2	გერმანული/ფრანგული/რუსული ენა B1.1				6/150			81	69

6.	გერმანული/ფრანგული/რუსული ენა B1.1	გერმანული/ფრანგული/რუსული ენა B1.2					6/150		81	69
	ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები									
7.	წინაპირობის გარეშე	ინგლისური ენის უნარების ინტენსიური კურსი (A2-B1.1) - ინგლისური ენის უნარები 1 (B1.1)	6/150						107/81	43/69
8.	ინგლისური ენის უნარები 1 (B1.1)	ინგლისური ენის უნარები 2 (B1.2)		6/150					81	69
9.	ინგლისური ენის უნარები 2 (B1.2)	ინგლისური ენის უნარები 3 (B2.1)			6/150				81	69
10.	ინგლისური ენის უნარები 3 (B2.1)	ინგლისური ენის უნარები 4 (B2.2)				6/150			81	69
11.	ინგლისური ენის უნარები 2(B1.2)	ხელოვნური ინტელექტის საფუძვლები და მისი გამოყენება ინგლისური ენის სწავლებაში			3/75				28	47
12.	ინგლისური ენის უნარები 4 (B2.2)	ინგლისური ენის კომპეტენცია/ First Certificate in English (FCE 1)					6/150		81	69
13.	ინგლისური ენის კომპეტენცია/ First Certificate in English (FCE 1)	ინგლისური ენის კომპეტენცია/ First Certificate in English (FCE 2)						6/150	81	69
14.	ინგლისური ენის უნარები 4 (B2.2)	ინგლისური ენის სტილისტიკა					4/100		28	72

15.	ინგლისური ენის უნარები 1 (B1.1) შესავალი ლიტერატურათმ ცოდნეობაში	ინგლისური ლიტერატურის ისტორია 1800 წლამდე		6/150					55	95
16.	ინგლისური ლიტერატურის ისტორია 1800 წლამდე; ინგლისური ენის უნარები 2 (B1.2)	XIX -XX საუკუნეების ინგლისური ლიტერატურის ისტორია			6/150				55	95
17.	წინაპირობის გარეშე	ენათმეცნიერები ს შესავალი	6/150						40	110
18.	წინაპირობის გარეშე	ინგლისური ენის პრაქტიკული გრამატიკა		3/75					55	20
19.	ინგლისური ენის უნარები 1 (B1.1)	ინგლისური ენის პრაქტიკული ფონეტიკა		3/75					28	47
20.	წინაპირობის გარეშე	შესავალი ლიტერატურათ მცოდნეობაში	6/150						29	121
21.	ინგლისური ენის უნარები 1 (B1.1)	შესავალი ინგლისურ ფილოლოგიაში		6/150					28	122
22.	ინგლისური ენის პრაქტიკული ფონეტიკა/ზოგა დი ინგლისური ენის უნარები 2 (B1.2)	ინგლისური ენის თეორიული ფონეტიკა			3/75				28	47
23.	ინგლისური ენის უნარები 2 (B1.2)	გაერთიანებული სამეფოს ისტორია და გეოგრაფია			3/75				28	47

24.	ინგლისური ენის უნარები 2 (B1.2)	ბრიტანულ-ამერიკული ენა და კულტურა			3/75				28	47
25.	ინგლისური ენის უნარები 3 (B2.1)	ინგლისური ენის ლექსიკოლოგია				6/150			28	122
26.	ინგლისური ენის უნარები 4 (B2.2)	ინგლისური ენის ისტორია					4/100		28	72
27.	ინგლისური ენის უნარები 4 (B2.2)	ინგლისური ენის თეორიული გრამატიკა					4/100		29	71
28.	ინგლისური ენის უნარები 3 (B2.1)	ტექსტის ანალიზი				6/150			28	122
29.	ინგლისური ენის უნარები 3 (B2.1)	Academic writing in English				6/150			42	108
30.	ინგლისური ენის უნარები 4 (B2.2), Academic writing in English	Research Methods in Linguistics and Literature					6/150		41	109
31.	I-V სემესტრების განმავლობაში გავლილი სავალდებულო სასწავლო კურსები	საბაკალავრო ნაშრომი						12/300	23	277
	ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები									
32.	I-V სემესტრების განმავლობაში გავლილი სავალდებულო სასწავლო კურსები	პრაქტიკა						6/150	91	59
33.	ინგლისური ენის უნარები 4 (B2.2)	აშშ-ის ისტორია და გეოგრაფია						3/75	28	47

34.	ინგლისური ენის უნარები 4 (B2.2)	ინგლისური ენა ტურიზმისა და ბიზნესისათვის						6/150	81	69
35.	ინგლისური ენის უნარები 4 (B2.2)	სამართლებრივი ინგლისური						3/75	55	20
36.	ინგლისური ენის უნარები 4 (B2.2)	ინგლისური ენა მედიისათვის/English for Media Literacy						3/75	55	20
37.	ინგლისური ენის უნარები 4 (B2.2)	საქმიანი კომუნიკაციები / Business comunication						6/150	29	121
38.	ინგლისური ენის უნარები 4 (B2.2)	თანამედროვე ინგლისური ლიტერატურა						6/150	28	122
39.	ინგლისური ენის უნარები 4 (B2.2)	თანამედროვე ამერიკული ლიტერატურა (1960-დღემდე)						6/150	28	122
		სემესტრში	**30**	**30**	**30**	**30**	**30**	**30**		
		წელიწადში	**60**		**60**		**60**			
		სულ	**180**							

პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა								
პროგრამის მიზნები	პროგრამის სწავლის შედეგები							
	A	B	C	D	E	F	G	H
შეძინოს ინგლისური ფილოლოგიის სფეროს, მათ შორის ინგლისური ენის სტრუქტურისა და კომპოზიციის, ბრიტანული და ამერიკული კულტურის და ლიტერატურის საკითხების, ფართო ცოდნა და მისი პრაქტიკაში გამოყენების უნარი;	X	X			X		X	
განუვითაროს სხვადასხვა მიზნისა და აუდიტორიისათვის ინგლისურ ენაზე სხვადასხვა ფორმით თავისუფალი კომუნიკაციის განხორციელების უნარი საერთაშორისო და მრავალფეროვანი პროფესიული გარემოს მოთხოვნების გათვალისწინებით;			X			X	X	
განუვითაროს მეორე უცხოურ ენაზე (გერმანულ/ფრანგულ/რუსულ) კომუნიკაციის განხორციელების უნარი;				X				
განუვითაროს პროფესიულ, ლინგვისტურ თუ ლიტერატურულ საკითხებთან დაკავშირებით ინფორმაციის მოძიებისა და კრიტიკულად ანალიზის უნარი; უზრუნველყოს სტუდენტები ფილოლოგიური კვლევისათვის საჭირო მეთოდების ცოდნით პრაქტიკული გამოყენებისთვის.			X		X	X	X	
ჩამოუყალიბოს ინგლისური ფილოლოგიის სფეროში პროფესიული საქმიანობისას ეთიკის პრინციპების დაცვის, ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობისა და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვის, ცოდნის მუდმივი განახლების, კომპეტენციების სრულყოფისა და პროფესიული განვითარებისათვის საჭირო პასუხისმგებლობა.						X	X	X

პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსებისა და პროგრამის სწავლის შედეგების რუკა

№	საგანი	კურსის სტატუსი		პროგრამის სწავლის შედეგები							
				A	B	C	D	E	F	G	H
1.	საქმიანი კომუნიკაცია და ციფრული ტექნოლოგიები	D	P						X	X	X
2.	Academic Writing in English	I	D						X	X	X
3.	ქართული ენის სპეციალური კურსი	I	D						X	X	X
4.	გერმანული/ფრანგული/რუსული ენა A1	I	P				X				
5.	გერმანული/ფრანგული/რუსული ენა A2	D	P				X				
6.	გერმანული/ფრანგული/რუსული ენა B1.1	D	P				X				
7.	გერმანული/ფრანგული/რუსული ენა B1.2	M	P				X				
8.	ინგლისური ენის უნარების ინტენსიური კურსი (A2-B1.1) - ინგლისური ენის უნარები 1 (B1.1)	I	P			X					
9.	ინგლისური ენის უნარები 2 (B1.2)	D	P			X					
10.	ინგლისური ენის უნარები 3 (B2.1)	D	P			X			X	X	
11.	ინგლისური ენის უნარები 4 (B2.2)	M	P			X			X	X	
12.	ხელოვნური ინტელექტის საფუძვლები და მისი გამოყენება ინგლისური ენის სწავლებაში	D	P		X				X		
13.	ინგლისური ენის კომპეტენცია/ First Certificate in English (FCE 1)	M	P			X			X	X	X
14.	ინგლისური ენის კომპეტენცია/ First Certificate in English (FCE 2)	M	P			X			X	X	X
15.	ინგლისური ლიტერატურის ისტორია 1800 წლამდე	I	D	X				X		X	

16.	XIX -XXსაუკუნის ინგლისური ლიტერატურის ისტორია	D		X				X		X	
17.	ენათმეცნიერების შესავალი	I			X					X	
18.	ინგლისური ენის პრაქტიკული გრამატიკა	I	P			X				X	
19.	ინგლისური ენის პრაქტიკული ფონეტიკა	I	P			X					
20.	შესავალი ლიტერატურათმცოდნეობაში	I						X		X	X
21.	შესავალი ინგლისურ ფილოლოგიაში	I		X	X					X	
22.	ინგლისური ენის თეორიული ფონეტიკა	D		X	X					X	
23.	გაერთიანებული სამეფოს ისტორია და გეოგრაფია	I	D	X							
24.	ბრიტანულ-ამერიკული ენა და კულტურა	I	D	X							
25.	ინგლისური ენის ლექსიკოლოგია	D			X	X		X		X	X
26.	ინგლისური ენის ისტორია	I	D	X						X	
27.	ინგლისური ენის თეორიული გრამატიკა	D		X	X					X	
28.	ტექსტის ანალიზი	D				X		X		X	X
29.	Research Methods in Linguistics and Literature;	M	P						X	X	
30.	საბაკალავრო ნაშრომი	M		X	X	X		X	X	X	X
31.	ინგლისური ენის სტილისტიკა	M			X			X			

კურსის სტატუსი

I – შესავალი კურსები (Introduction)	D - განმავითარებელი კურსები (Developing)	P - პრაქტიკული კურსები (Practical)	M- დაოსტატების კურსები (Master)

პროგრამის სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების სწავლის შედეგების რუკა				
№	საგანი	კომპეტენციები		
		ცოდნა და გაცნოებიერება	უნარი	პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა
საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსები				
1	საქმიანი კომუნიკაცია და ციფრული ტექნოლოგიები	X	X	X
2	ქართული ენის სპეციალური კურსი	X	X	X
მეორე უცხოური ენის კომპონენტი				
3	გერმანული/ფრანგული/რუსული ენა A1	X	X	
4	გერმანული/ფრანგული/რუსული ენა A2	X	X	X
5	გერმანული/ფრანგული/რუსული ენა B1.1	X	X	X
6	გერმანული/ფრანგული/რუსული ენა B1.2	X	X	X
სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსები				
7	ინგლისური ენის უნარების ინტენსიური კურსი (A2-B1.1) ინგლისური ენის უნარები 1 (B1.1)	X	X	
8	ინგლისური ენის უნარები 2 (B1.2)	X	X	
9	ინგლისური ენის უნარები 3 (B2.1)	X	X	
10	ინგლისური ენის უნარები 4 (B2.2)	X	X	
11	ხელოვნური ინტელექტის საფუძვლები და მისი გამოყენება ინგლისური ენის სწავლებაში	X	X	
12	ინგლისური ენის კომპეტენცია/ First Certificate in English (FCE 1)	X	X	X
13	ინგლისური ენის კომპეტენცია/ First Certificate in English (FCE 2)	X	X	X
14	ინგლისური ლიტერატურის ისტორია 1800 წლამდე	X	X	
15	XIX -XXსაუკუნის ინგლისური ლიტერატურის ისტორია	X	X	
16	ენათმეცნიერების შესავალი	X	X	

17	ინგლისური ენის პრაქტიკული გრამატიკა	X	X	
18	ინგლისური ენის პრაქტიკული ფონეტიკა	X	X	
19	შესავალი ლიტერატურათმცოდნეობაში	X	X	X
20	შესავალი ინგლისურ ფილოლოგიაში	X	X	
21	ინგლისური ენის თეორიული ფონეტიკა	X	X	
22	ინგლისური ენის სტილისტიკა	X	X	
23	გაერთიანებული სამეფოს ისტორია და გეოგრაფია	X	X	
24	ბრიტანულ-ამერიკული ენა და კულტურა	X	X	
25	Academic writing in English	X	X	X
26	ინგლისური ენის ლექსიკოლოგია	X	X	X
27	ინგლისური ენის ისტორია	X	X	
28	ინგლისური ენის თეორიული გრამატიკა	X	X	
29	ტექსტის ანალიზი	X	X	X
30	Research Methods in Linguistics and Literature	X	X	X
31	საბაკალავრო ნაშრომი	X	X	X
32	პრაქტიკა	X	X	X
33	ინგლისური ენა ტურიზმისა და ბიზნესისათვის	X	X	X
34	სამართლებრივი ინგლისური	X	X	X
35	საქმიანი კომუნიკაციები / Business comunication	X	X	X
36	ინგლისური ენა მედიისათვის/English for Media Literacy	X	X	X
37	თანამედროვე ინგლისური ლიტერატურა	X	X	
38	თანამედროვე ამერიკული ლიტერატურა (1960-დღემდე)	X	X	
39	აშშ-ის ისტორია და გეოგრაფია	X	X	